

# I კურსი

## ინგლისური

აღნიშნული კურსი იყოფა ოთხ დონედ, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული სტუდენტი ინგლისურის სწავლას დაიწყებს იმ დონიდან, რომელსაც დააკმაყოფილებს მისი ცოდნა.

## ინფორმაციის დამუშავების ტექნიკა და კომპიუტერული უნარ-ჩვევები:

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიები, გამოუმუშაოს კომპიუტერთან მუშაობის პროფესიული უნარ - ჩვევები და შესაბამისად მოახდინოს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრაცია მათ საქმიანობაში.

## ეკონომიკა

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს მიკრო და მაკრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპები, რათა მათ შეძლონ ეკონომიკური თვალსაზრისით მიკრო და მაკროეკონომიკურ დონეზე მიმდინარე მოვლენების შეფასება. ისინი ასევე შეისწავლიან საბაზრო სისტემის ფუნქციონირებას.

## ბიზნესი

აღნიშნული კურსი საშუალებას აძლევს სტუდენტებს უკეთ გაიაზრონ ბიზნეს გეგმის შემუშავების არსი და მისი როლი საქმიანობის სწორად დაგეგმვის, ცხოვრებაში დაგეგმილი საქმიანობის წარმატებულად გატარებისა და ამ საქმიანობისთვის საჭირო ფინანსების მოზიდვაში.

## რაოდენობრივი ანალიზის საფუძვლები

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ბიზნესისა და ეკონომიკის ამოცანების გადასაჭრელად გამოყენებული მეთოდები, რომელთა გაცნობაც სწავლების პირველ ეტაპზე მოხდება მარტივი ფორმით, კერძოდ, მათემატიკური ანალიზის საბაზისო ცნებებით და მეთოდებით, ხოლო მეორე ეტაპზე წრფივი ალგებრის აუცილებელი მათემატიკური აპარატით.

## მსოფლიო ცივილიზაციები

კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს ძველი და თანამედროვე ცივილიზაციების, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის წარმოშობის, განვითარებისა და მნიშვნელობის საფუძვლები.

## ბიზნესის ლაბორატორია

აღნიშნულ კურსი ინტერაქტიული ხასიათისაა და მთლიანად აგებულია პრაქტიკულ სამუშაოებზე, რომლებსაც სრულად განსაზღვრავს სტუდენტის მიერ წამოჭრილი სხვადასხვა თემები. ბიზნესის ლაბორატორიას სტუდენტები სწავლების ოთხივე წელს შეისწავლიან.

## **მონაცემთა პროფესიული დამუშავება და ბიზნესის მოდელირება ელექტრონული ცხრილის ბაზაზე**

კურსის მიზანია, ელექტრონული ცხრილების გამოყენებით, სტუდენტს შეასწავლოს მონაცემების შეგროვების, ორგანიზების, კლასიფიცირების, სისტემატიზაციის, დამუშავების და ანალიზის ის მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც ეფექტურად სრულდება ბიზნესის მოდელირება და მართვა.

## **II კურსი**

### **ბიზნესის მოდელირება და ანალიზი**

კურსის მიზანია, სტუდენტებმა განივითარონ ბიზნეს პროცესების მოდელირებისა და ანალიზის უნარები.

### **ალბათობის თეორია და სტატისტიკა ბიზნესისთვის**

კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში

აუცილებელი ალბათურ-სტატისტიკური მეთოდები და გამოუმუშაოს რეალურ ამოცანებში მათი გამოყენების უნარ-ჩვევები.

### **მენეჯმენტი**

კურსის მიზანია მსმენელებს გააცნოს თანამედროვე ორგანიზაციული მენეჯმენტის საფუძვლები ასევე ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც აუცილებელია წარმატებული ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და მართვისთვის.

### **ფინანსები**

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ფინანსური სისტემების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და კომპანიის ფუნქციონირებისთვის, შეასწავლოს საპროცენტო განაკვეთების დონეები და თავისებურებები, სარეგულაციო ნორმები, კორპორაციის ფინანსური მენეჯმენტი, ბიუჯეტირების პროცესი და რისკების შეფასების მოდელები.

### **მარკეტინგი**

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ის თანამედროვე მარკეტინგის საკითხები და კონცეფციები, რომლებიც მათ დაეხმარებათ ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებაში. კურსის განმავლობაში სტუდენტებს ჩამოუყალიბდებათ მარკეტინგული კვლევების მართვისა და განხორციელების პრაქტიკული უნარები.

### **ფინანსური ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები**

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს სხვადასხვა საბანკო პროდუქტებით სარგებლობისას ფინანსური, გრძელვადიანი სესხების რაოდენობრივი და კომერციულ პრაქტიკაში კონტრაქტების შედარებითი ანალიზის მეთოდები, ასევე შესძინოს მათ თანამედროვე ფინანსურ ბაზრებზე მუშაობის უნარ-ჩვევები.

## **ბიზნეს ინოვაციები**

კურსის განმავლობაში მიღებულ ცოდნას სტუდენტები თავიანთ, ყოველდღიურ, ბიზნეს საქმიანობაში გამოიყენებენ. ისინი გაერკვევიან როგორ იცვლება საინოვაციო გარემო თანამედროვე მსოფლიოში, ამასთან განიხილავენ მრავალ მაგალითს საერთაშორისო ბიზნესის მონაწილე კომპანიების საინოვაციო გამოცდილებიდან.

## **III კურსი**

### **მონაცემთა ბაზების პროექტირების და მართვის სისტემა**

კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს მონაცემთა ბაზის პროექტირება, შექმნა და გამოყენება და გამოუმუშაოს აღნიშნულ ბაზაში მუშაობის პრაქტიკული უნარები.

### **მართვის ინფორმაციული სისტემები**

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ორგანიზაციის რესურსების მართვის სისტემების ფუნქციონირება, მათი შერჩევის და დანერგვის თავისებურებები.

### **ოპერაციათა კვლევა**

კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს მეთოდები, რომლებიც აადვილებს სწორი გადაწყვეტილებების მიღებას. ეს მეთოდები ემყარება მათემატიკურ, რაოდენობრივ საფუძვლებს. სტუდენტები შეისწავლიან მათემატიკური მოდელის აგების ძირითად პრინციპებს, გამოთვლების ორგანიზებას და ვარიანტების ანალიზს. სწავლების პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული ცხრილური პროცესორი Excel-ი.

### **მარკეტინგული კვლევა**

კურსის მიზანია სტუდენტებს ჩამოუყალიბოს მარკეტინგული კვლევის მართვისა და განხორციელების პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

### **აღრიცხვა და ანგარიშგება**

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ფინანსური აღრიცხვისა და რეპორტირების არსი და საფუძვლები, შეასწავლოს ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების შედგენა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ასევე, შეასწავლოს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები, გადასახადების მნიშვნელობა და მათი წარმოქმნისა და გადახდის სტრუქტურა.

### **შესავალი ფსიქოლოგიაში**

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ფსიქოლოგია, როგორც ადამიანის ქცევის შემსწავლელი მეცნიერება. კერძოდ: ადამიანის სოციალური განვითარების ეტაპები, მოტივაცია, სოციალური ურთიერთობების თავისებურებები და კულტურული გარემოს გავლენა ადამიანის ქცევაზე.

### **ბიზნესის სამართლებრივი საფუძვლები**

კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს ბიზნესის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი ნორმები, რადგან მათ შეძლონ საკუთარი ბიზნეს საქმიანობის სწორად დაგეგმვა, პოტენციური რისკების სწორი კალკულაცია, აღნიშნული საქმიანობის მართებულად წამოწყება და მისი შემდგომი განვითარება. სწავლების პროცესში განხილულ იქნება როგორც ქართული კანონმდებლობა, ასევე საერთაშორისო სამართალი.

### **პროექტების მართვა, პროექტების შექმნისა და მართვის სისტემა Ms Project - ის ბაზაზე**

კურსის მიზანია სტუდენტებმა ისწავლონ პროექტის მიზნების განსაზღვრა, გუნდის ჩამოყალიბება და მისი მართვა, შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა, რისკების შეფასება და პროექტის შედეგების დანერგვა. სტუდენტები შეისწავლიან პროექტის მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას Microsoft Project -ს, რომელიც განკუთვნილია პროექტის რესურსების დაგეგმვის, ორგანიზების, მართვისა და შეფასებისთვის.

### **საერთაშორისო ბიზნესის გამოყენებითი კურსი - ექსპორტის მენეჯმენტი**

კურსის მიზანია, პრაქტიკული ცოდნა შესძინოს სტუდენტებს საექსპორტო ბიზნესზე. ისინი ღრმად შეისწავლიან ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: აკრედიტივი, კონოსამენტი და ფორფეიტინგი. პრაქტიკული მაგალითების განხილვით გაერკვევიან, თუ როგორ მუშაობს საექსპორტო კონტრაქტი, დაზღვევა და როგორ ხდება ბიზნესის ფინანსირება.

### **გაყიდვების პროცესის მართვა**

საგანი წარმოადგენს საბაზისო კურსს გაყიდვების მენეჯმენტის შესასწავლად. სტუდენტები გაეცნობიან გაყიდვების პროცესის ეტაპებს, ფაზებს, მეთოდებს, მოლაპარაკების ტექნოლოგიებს და გაყიდვების სტრატეგიების შერჩევას.

### **შესავალი სოციოლოგიაში**

კურსის მიზანია, სტუდენტებმა აითვისონ სოციოლოგიის ძირითადი ცნებები და შეძლონ მათი სწორად გამოყენება. ასევე სოციალურ წესთა და პროცესთა გაცნობა და გაანალიზება, რომლებიც აკავშირებენ ან აცალკევებენ ხალხს, როგორც ინსტიტუციონალური გაერთიანებების წევრებს.

## **IV კურსი**

### **ლიდერობა:**

სასწავლო კურსის მიზანია, ორგანიზაციაში ლიდერის შესაბამისი ცოდნის, უნარების და დამოკიდებულებების გამომუშავება და მოდიფიკაცია სამუშაოს უფრო ეფექტურად შესასრულებლად. ასევე, სტუდენტებს გაუღრმავოს ცოდნა ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების მართვის, ორგანიზაციული ქცევის და ლიდერობის შესახებ.

## **ბიზნესის ეთიკა**

კურსის მიზანია, სტუდენტებმა გაიგონ და გაითავსონ ბიზნესის მართვის ეთიკური მოდელები, სხვადასხვა სიტუაციაში, მათ შორის კონფლიქტების დარეგულირების დროს შემდგომ ეთიკური გადაწყვეტილების მიღება.

## **ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები**

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის ინსტრუმენტები, მათი მნიშვნელობა და გამოყენების შესაძლებლობები.

## **ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები**

კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს როგორც ადგილობრივი ისე გლობალური ფინანსური ბაზრების თავისებურებები. შეასწავლოს ფინანსური აქტივების სახეები, მათი გამოცემის თავისებურებები, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის სპეციფიკა და პრინციპები.

## **შესავალი ფილოსოფიაში**

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ფილოსოფიის განვითარების ისტორია, ძირითადი ტენდენციები და საკვანძო საკითხები. აზიაროს სტუდენტები ფილოსოფიური აზროვნების პრინციპებს, ხელი შეუწყოს მათი მსოფლხედვის გაფართოებას.

## **ინვესტიციები**

კურსის მიზანია სტუდენტები გაერკვნენ ფასიან ქაღალდებში ინვესტირების თავისებურებებში, გლობალური ფინანსური პორტფელის მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკაში. პორტფელის დივერსიფიკაციის აუცილებლობასა და აქტივების კორელაციაზე დაყრდნობით რისკის მინიმუმაციის თავისებურებებში.

## **ბრენდინგი**

კურსის მიზანია სტუდენტებს ჩამოუყალიბოს ბრენდის შექმნის თეორიული ბაზისი და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. შეისწავლიან ბრენდის შექმნის, მისი შენების და მართვის საფუძვლების.

## **ფინანსური პროექტი**

მეშვიდე სემესტრის დასასრულს პროგრამის კოორდინატორთან შეთანხმებით სტუდენტი აირჩევს ხელმძღვანელს, რომელთან ერთადაც მან უნდა იმუშაოს პროექტის თემაზე მერვე სემესტრის განმავლობაში. პროექტის თემა შეიძლება ეხებოდეს როგორც არსებულ ისე ახალი ორგანიზაციის შექმნას, კონკრეტული ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესებას, ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციას, ახალი პროდუქტის დანერგვას, მარკეტინგულ კვლევას, საინვესტიციო შეფასებას, პიარ კამპანიას, ახალი ან არსებული ბრენდის განვითარების სტრატეგიას.

## **არჩევითი საგნები**

სწავლის პროცესში სტუდენტებს შეუძლიათ სხვა სპეციალობებიდან აირჩიონ მინიმუმ 4 ზოგადსაგანმანათლებლო(საუნივერსიტეტო) საგანი.

## პრაქტიკა

სავალდებულო პრაქტიკა - სტაჟირება IV კურსის მეორე სემესტრში

- ✓ პრაქტიკა - სტაჟირება კურიკულუმში შესულია როგორც სავალდებულო საგანი;
- ✓ ამ დროისთვის სტუდენტებს გავლილი აქვთ თითქმის მთელი სასწავლო კურსი
- ✓ შეუძლიათ სტაჟირებაზე იარონ დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე, ვინაიდან დროის ამ მონაკვეთში ლექციები არ ექნებათ
- ✓ აღნიშნულ სემესტრში მუშაობენ სადიპლომო პროექტზე და სწავლობენ მხოლოდ სამ საგანს (კვირაში ოთხი ლექცია, რომლებიც ჩაუტარდებათ საღამოს 7 საათიდან);
- ✓ სტაჟირების დამთავრების შემდეგ სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს პრაქტიკის ანგარიში და დაიცვას იგი